საქმე № 010332222900145282

1356745719004

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№სსკ-02-22 **11 მაისი, 2022 წელი**
სსკ-02-22 გ. **თბილისი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:
თავმჯდომარე/მომხსენებელი: მამუკა ვასაძე
მოსამართლეები: მერაბ გაბინაშვილი, ვლადიმერ კაკაბაძე

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ

განცხადების ავტორი _ მ. გ

მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

გასაჩივრებული განჩინება – საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის 2018 წლის 6 თებერვლის განჩინება

დავის საგანი – ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას 2018 წლის 2 თებერვალს საჩივრით მიმართა მ. გ-მა (შემდეგში: საჩივრის ავტორი, განმცხადებელი, აპლიკანტი ან ყოფილი მოსამართლე), რომელმაც მოითხოვა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის დაბრუნება გასაუბრების ეტაპზე ხელახლა განსახილველად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდეგში: ორგანული კანონი) 35^4 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.
2. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის ოქტომბერში მან მონაწილეობა მიიღო მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში. 2018 წლის 20 იანვარს აპლიკანტის პორტალით ეცნობა, რომ მისი განაცხადი ზემოხსენებულ ვაკანსიაზე უარყოფილი იყო კანონით დადგენილი კომპეტენტურობის კრიტერიუმების არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო.
3. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აღნიშნულ კონკურსზე მისი შეფასება განხორციელდა საქართველოსა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით დადგენილი პროცედურების დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საბოლოო შედეგზე და საბჭომ მისი განცხადება უარყო. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მასთან გასაუბრება ორგანული კანონის 35^4 მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტების დარღვევით ჩაატარა. კერძოდ, კონკურსის ჩატარებისას საბჭოს წევრთა ნაწილი მიკერძოებული იყო, მათი მიდგომა კი - დისკრიმინაციული.
4. საჩივრის ავტორი მიუთითებდა, რომ ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „კონკურსი ობიექტურობისა და თანასწორობის პრინციპების სრული დაცვით უნდა ჩატარდეს. კონკურსის ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მოსამართლეობის კანდიდატთა თანასწორობა, განურჩევლად რასისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, საზოგადოებაში მათი მდგომარეობისა, ეროვნული,

ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა და სხვა გარემოებებისა“. იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოქმედებდა აღნიშნული მიზნების საწინაღმდეგოდ, რაც, აპლიკანტის მტკიცებით, დასტურდებოდა შემდეგი ფაქტებით:

4.1. 2018 წლის 11 იანვარს საბჭოს წევრმა ნ. χ-მ ტელეეთერში განაცხადა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა მოსამართლეობის კანდიდატთა კომპეტენტურობის კრიტერიუმების მახასიათებლები მიკერძოებულად შეაფასეს.

4.2. საბჭოს წევრებმა არ გაითვალისწინეს, რომ მას დამთავრებული ჰქონდა პრესტიჟული უნივერსიტეტი, აქვს სამოსამართლო პრაქტიკა, არის დოქტორანტი, მაღალი შეფასებებით ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, მის პროფესიონალიზმს რეკომენდაციას უწევენ საქართველოში ცნობილი პროფესორები და აკადემიკოსები, მოქმედი და ყოფილი მოსამართლეები, აგრეთვე - არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

4.3. საჩივრის ავტორის მტკიცებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაარღვია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 2000 წლის 4 ნოემბრის მე-12 ოქმის პირველი მუხლი, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლი და საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი, რომლებითაც ყველა პირისთვის უზრუნველყოფილია დისკრიმინაციის აკრძალვა და კანონის წინაშე თანასწორობა.

5. მ გ-ი განმარტავდა, რომ აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობეს, მოსამართლედ გამწესებაზე მის კანდიდატურის კენჭისყრაზე არ დაყენება.

6. განმცხადებელი წარმოდგენილი საჩივრის საკვალიფიკაციო პალატის მიერ განხილვის (განსჯადობა) საფუძვლად უთითებდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^4 მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 6 თებერვლის განჩინებით მ. გ-ს უარი ეთქვას საჩივრის წარმოებაში მიღებაზე.

8. მ. გ-მა ზემოაღიშნული განჩინება გაასაჩივრა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში, რომელმაც 2022 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით დაადგინა ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა საქართველოს მხრიდან. აღნიშნულმა სასამართლომ აანაზღაურა არამატერიალური ზიანი და ხარჯები.

9. 2022 წლის 6 მაისს, მ. გ-ა, საქართველოს „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ 423-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახლად

აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმების განახლების შესახებ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ამავე პალატის 2018 წლის 6 თებერვლის განჩინები გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

სამოტივაციო ნაწილი:

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა მ გ-ს განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი განცხადება განუხილველი უნდა დარჩეს დაუშვებლობის მოტივით, შემდეგ გარემოებათა გამო:

11. საკვალიფიკაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე თავი აწესრიგებს საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვის წესსა და განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობებს (კანონის ანალოგია).

12. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები. ამავე კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ: ა) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია; ბ) დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვა უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება; გ) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება; დ) სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა; ე) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ; ვ) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და

მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას; ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს; თ) არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ – კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა და გადასასინჯი გადაწყვეტილება ამ დარღვევას ეფუძნება (კანონის ანალოგია).

12.1 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით შეიძლება გასაჩივრდეს, თუ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება).

13. საკვალიფიკაციო პალატა მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში მ. გ-ი სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლისა და 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ითხოვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის 2018 წლის 6 თებერვლის განჩინების გაუქმებას და საქმის წარმოების განახლებას, რის საფუძვლადაც განმცხადებელი მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებზე, რომლითაც მის მიმართ დადგინდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა. მოცემულ შემთხვევაში კი საქმის მასალებიდან დგინდება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება დღეის მდგომარეობით კანონიერ ძალაში არ არის შესული, რაც აღნიშნული მუხლის იმპერატიული მოთხოვნაა, ამავე კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ თავისი ინიციტივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს, შესაბამისად პალატა მოცემული გარემოებების გათვალისწინებით

მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს წარმოდგენილ განცხადებაზე (კანონის ანალოგია).

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკვალიფიკაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე, 429-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. გ-ს 2022 წლის 6 მაისის №სსკ-02-22 განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის 2018 წლის 6 თებერვლის №სსკ-01-18 განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე, დარჩეს განუხილველი დაუშვებლობის გამო;
2. საკვალიფიკაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **მ. ვასაძე**

მოსამართლეები: **მ. გაბინაშვილი**

ვ. კაკაბაძე